ეთნორელიგიური ნაციონალიზმი და პოპულიზმის გაფართოებული ინდექსი აჭარის, თბილისისა და სამეგრელოს მაგალითზე

ლაშა ტუღუში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი[1]

მალხაზ გაგუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი[2]

ალექსანდრა კალატოზიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი[3]

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია პოპულისტური განწყობები საქართველოს ორ რეგიონსა და დედაქალაქ თბილისში. ანალიზი ეფუძნება 2019 წლის ნოემბერში ჩატარებულ რეპრეზენტაციულ კვლევას, რომელიც სტატიის ავტორების აქტიური მონაწილეობით არის ჩატარებული. კვლევის შედეგები და სტატისტიკური ანალიზი ადასტურებს პოპულისტური განწყობების ფართო გავრცელებას გამოკვლეულ პოპულაციაში. ამასთან, შესწავლილია არა მარტო ამ ფენომენის გავრცელების მაჩვენებლები, არამედ მისი ხასიათიც, კერძოდ გამოკვეთილი ეთნორელიგიური და ულტრა-კონსერვატიული ხასიათი. მძლავრ ეთნორელიგიურ სენტიმენტებს ადასტურებს რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მიერ, რომელთა დიდი უმრავლესობა ეთნიკური ქართველია, მუსლიმი ქართველების დაბალი მიმღებლობა, დემოკრატიული სახელმწიფო სტრუქტურების დაბალი ნდობა და ეკლესიის ექსკლუზური ნდობა, ისევე როგორც მძლავრი ანტი-სეკულარული განწყობები და მაღალი თვითშეფასება. გარდა ამისა, სტატია შეიცავს პოპულიზმის ინდექსს, რომელიც მრავალი სხვადასხვა ცვლადის გათვალისწინებით არის მიღებული და ამ ინდექსის კორელაციურ ანალიზს ასაკობრივ, ეკონომიკურ, ურბანულ და განათლების ცენზის ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: პოპულიზმი, ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმი, ულტრა-კონსერვატიზმი, ტრადიციული ღირებულებები.

[1] *latugu_resonance@yahoo.com*
[2] *maxogagua@yahoo.com*
[3] *alexandra.kalatozishvili@gmail.com*

Abstract

The article explores populist sentiments in two regions of Georgia and in the capital Tbilisi. The analysis is based on a representative survey conducted in November 2019 with the active participation of the authors of the article. The survey and its statistical analysis confirm that populist sentiments in the surveyed population are widespread. However, not only the prevalence of this phenomenon has been studied, but also its nature, which carries strong ethno-religious and ultra-conservative characteristics. Strong ethno-religious sentiments are confirmed by low acceptance of Muslim Georgians (despite the fact that ethnic Georgians constitute vast majority of surveyed population), rock-bottom trust in democratic state institutions coupled with very high, sometimes exclusive, trust in the Church, as well as strong anti-secular sentiments and high self-esteem. In addition, the article contains the Extended Index of Populism, which is based upon strictly selected variables, and a correlation analysis of this index in terms of age, economic status, urban vs. rural habitat and educational criteria.

Keywords: populism, ethno-religious nationalism, ultra-conservatism, traditional values.

შესავალი

თანამედროვე დასავლეთის პოლიტიკაში პოპულიზმმა ისეთი მასშტაბი შეიძინა, უკვე რეალურად იკვეთება კონტურები, რომ ის შეიძლება ლიბერალური დემოკრატიის მთავარ ოპონენტად იქცეს. დიქოტომია მემარჯვენე და მემარცხენე ძალებს შორის, რომელიც დასავლეთის პოლიტიკაში საუკუნეზე დიდ ხანს არსებობდა, სხვა ანტაგონიზმით იცვლება, სადაც პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური ფენომენი, უპირისპირდება ლიბერალიზმს, რომელიც თავის თავში მოიცავს პროგრესულ იდეებს, გლობალიზაციას, მულტიკულტურალიზმსა და უმცირესობების უფლებების დაცვის წინაპირობით მოქმედ დემოკრატიულ სტრუქტურებს.

მართალია, პოპულიზმი სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებებისთვის კვლევის ახალი საგანი არ არის, მაგრამ მან განსაკუთრებით აქტიური სახე ბოლო ათწლეულში მიიღო, მას შემდეგ, რაც დასავლეთის ბევრ ქვეყანაში იმ პარტიებმა დაიწყეს ელექტორალური წარმატების მოპოვება, რომლებიც მანამდე პოლიტიკის პერიფერიაზე იმყოფებოდნენ და ერთგვარ მარგინალურ ჯგუფებად მოიაზრებოდნნენ. 2016 წელი კი ამ პროცესის ერთგვარი აპოგეა გახდა, რისი გამოვლინებაც იყო ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლა („ბრექსიტი“) და ამერიკის შეერთებული

შტატების არჩევნებში არასისტემური ლიდერის, მილიარდელი დონალდ ტრამპის გამარჯვება (Galston, 2018).

თუმცა ეს არ ყოფილა გამონაკლისი შემთხვევები. მალევე ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში როგორც ცენტრალურ, ისევე ადგილობრივ დონეზე წარმომადგენლობით მანდატები მოიპოვეს ან საკუთარი წარმომადგენლობა მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესეს ულტრა-მემარჯვენე ძალებმა, რომლებიც ამ წარმატებას სწორედ პოპულისტურ რიტორიკას უმადლოდნენ. ამის ნათელი მაგალითია საფრანგეთში „ნაციონალური ფრონტის“ (2018 წელს ამ პარტიას სახელი შეუცვალეს და მაჟამად „ნაციონალურ ერთობად“ იწოდება) და გერმანიაში „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (AfD), ორი ულტრა-მემარჯვენე პარტიის მნიშვნელოვანი ელექტორალური წარმატება. ანალოგიური ან მსგავსი სცენარებით განვითარდა მოვლენები ავსტრიაში, უნგრეთში, პოლონეთში, იტალიაში, ესპანეთში და სხვა ქვეყნებში. პოპულისტურმა მოძრაობებმა წამოყვეს თავი კანადაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაშიც. სიტუაცია ლიბერალური დემოკრატიის მომხრეთა თვალთახედვით იმდენად დამაფიქრებელია, რომ გუდჰარტმა ამ მოვლენას „პოპულისტური ამბოხიც“ კი უწოდა (Goodhart, 2017).

ბოლო დროს პოპულიზმზე ნაშრომები საქართველოშიც გაჩნდა, რადგან მოხდა იმის გაცნობიერება, რომ ამ ფენომენს დიფუზიური ხასიათი გააჩნია და მიბმულია ორ კონკრეტულ ფენომენს - დემოკრატიასა და გლობალიზაციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოპულიზმის არსებობისთვის აუცილებელია დემოკრატიულობის ხარისხი, რომელიც მისთვის ერთგვარ ეგსისტენციალურ საარსებო სივრცეს წარმოადგენს და, ასევე, გლობალიზაციური პროცესებიც, რადგან სწორედ ეს პროცესებია მისთვის საარსებო სტიმულის მიმცემი. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ორივე ეს აუცილებელი პირობა გარკვეული ხარისხითა და ინტენსივობით არსებობს, შესაბამისად მოიპოვება თეორიული საფუძველი პოპულიზმის განვითარებისთვისაც.

პოპულიზმი საქართველოში

საქართველოს პოპულიზმის მიმართ მკვლევართა ინტერესი მეტწილად იმ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების ანალიზით შემოიფარგლება, რომლებიც „წმინდა“ პოპულისტურ ჯგუფებად არის აღქმული. კერძოდ, ასეთად მოიზრება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, ასევე როგორც რამდენიმე ულტრა-მემარჯვენე საზოგადოებრივი დაჯგუფება (მაგალითად, „ქართული მარში“ და სხვა მსგავსი ან კიდევ უფრო რადიკალური მცირე ჯგუფები) (ლებანიძე, 2019; სტეფანი,

2018). ზოგიერთ კვლევაში ასეთად მიჩნეულია, ასევე, ლეიბორისტული პარტიაც (სამხარაძე, 2020). ამ ჯგუფებიდან ამჟამად საპარლამენტო წარმომადგენლობა მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსს“ გააჩნია, რომლის მაჩვენებელი ბოლო საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 6-7%-ის ფარგლებში მერყეობს. ლეიბორისტულ პარტიას პარლამენტში წარმომადგენლობა საერთოდ არ ჰყავს. „ქართულმა მარშმა“ 2018 წელს საჯაროდ განაცხადა მზადყოფნა პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების თაობაზე (Democracy & Freedom Watch, 2018), თუმცა ამ გეგმას ხორცი მხოლოდ 2020 წლის ივლისში შეესხა და ახლადდაფუძნებული პარტია სახელწდებით „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“ 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობს (რადიო თავისუფლება, 2020). თუმცა მაინც საქართველოს პოლიტიკის პერიფერიაზე რჩება და მთავარ პოლიტიკურ დისკურსზე შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენს.

მიუხედავად იმისა, რომ ულტრა-მემარჯვენე პოპულისტური ძალები, აშკარად რჩებიან მარგინალურ პოზიციებზე, წნეხი, რომელსაც ისინი მეინსტრიმულ პოლიტიკაზე ახორციელებენ, ცალსახად მნიშვნელოვანია და საყურადსაღებო. მაგალითად, 2017 წელს ულტრა-მემარჯვენე ძალების, მათ შორის აშკარად რადიკალური დაჯგუფებების წნეხის ქვეშ, ხელისუფლება დათანხმდა საქართველოში მიწის უცხოელებზე გაყიდვის კონსტიტუციით აკრძალვას (ტვ იმედი, 2017). ცოტა ხანში კი იგივე ძალების აგრესიული ლობირებით კონსტიტუციაში შევიდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ქორწინება განსაზღვრულია, როგორც „ქალისა და მამაკაცის კავშირი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2017). მმართველი პარტიის, „ქართული ოცნება - დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერები საჯარო გამოსვლებში ხშირად აპელირებენ ისეთი ცნებებით, როგორიცაა „ტრადიციები“, „ოჯახის ფენომენი“, „კულტურული თვითმყოფადობა“ და ეკლესიის მიმართ რევერანსებს არ იშურებენ. მაგალითად, 2020 წლის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას, მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, „ჩვენ ყოველთვის გვემახსოვრება, ქართული ტრადიციული ცხოვრების წესის გაუკუღმართების, ჩვენი კულტურული თვითმყოფადობის წაშლისა და საქართველოს ისტორიის თავიდან გადაწერის ავადმყოფური წყურვილი, ოჯახის ფენომენზე გააფთრებული იერიშის, ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი საყრდენის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შევიწროებისა და დაქსაქსვის გამუდმებული მცდელობები“ (პირველი არხი, 2020).

პოპულისტური ულტრა-მემარჯვენე რიტორიკა ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელთა განცხადებებშიც გამოსჭვივის. განსაკუთრებით აქტიურობს ამ კუთხით მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. 2018 წლის ნოემბერში საკუთარი ფეისბუქგვერდის მეშვეობით გავრცელებულ ვიდეომიმართვაში ის ამბობს: „ბანკებმა ხელთ იგდეს ოჯახების ქონება, ბიზნესები, ფინანსები და მთლიანად სახელმწიფოს მართვა [...] ისინი არ არიან ბანკირები, ისინი არიან კლასიკური, ძველი ყაიდის ყველაზე უარესი მევახშეები“ (ლიბერალური აკადემია თბილისი (EI-LAT) & კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC), 2019). სააკაშვილი განსაკუთრებით შეუვალი იყო კანაფის პლანტაციების გაშენებასთან და მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებში (ეს უკანასკნელი ანტილიბერალური პოპულისტური ძალების დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი თემაა, ლგბტ-ისა და იმიგრაციასთან ერთად). მეტიც, მან ეკლესიის დამცველის იპოსტასიც მოირგო. „გუშინ მოღალატე [სალომე] ზურაბიშვილი თავს დაესხა ეკლესიას და მიანიშნა კონკორდატის გადახედვაზე. მიმაჩნია, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაში ბევრი ხარვეზია, მაგრამ მოღალატე დედაკაცის მხრიდან შანტაჟი არის უზნეო და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება“ (EI-LAT & CRRC, 2019). ამასთან მიხეილ სააკაშვილის რიტორიკაში სულ უფრო ხშირად იკვეთება პოპულიზმის მთავარი დამახასიათებელი თვისება - „ხალხით“ აპელირება, როგორც ჰომოგენური მასით, რომელიც კორუმპირებულ ელიტას უპირისპირდება (Mudde & Kaltwasser, 2018, pp.1667-1693).

ნათელია, რომ პოპულისტური რიტორიკა სცილდება მკაცრ პარტიულ ჩარჩოებს და უფრო დისკურსული ხასიათი აქვს, ვიდრე იდეოლოგიური. როგორც პოპულიზმის ხშირად ციტირებადი ავტორი კას მუდე წერს, პოპულიზმი „თითქმის ყოველთვის“ სხვა იდეოლოგიებთან არის მიბმული (Mudde & Kaltwasser, 2018). ამიტომ, მიგვაჩნია, ამ ფენომენის განხილვა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მარგინალური ჯგუფების კონტექსტში არარელევანტურია. მას ფართო ხასიათი აქვს და უფრო დისკურსული ფორმით არსებობს, ვიდრეი ვიწრო-იდეოლოგიურით. ამასთან, ისიც ნათელია, რომ იმ მასშტაბისა და გავლენის ძალები, როგორიცაა, მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსი“ და „ქართული მარში“ ვერ შექმნიან იმ პოლიტიკურ ატმოსფეროს, რომელსაც რაიმე „პოპულისტური ამბოხისმაგვარი“ შეიძლება ვუწოდოთ. მიუხედავად ამისა, ისიც ცხადია, რომ როგორც დასავლეთის დემოკრატიებში, ასევე, ჩვენი აზრით, საქართველოშიც ეს მოვლენა, დიდწილად ტრადიციული ღირებულებებით მანიპულირების კომპონენტს შეიცავს, რომელიც ბუნებრივად არის შერწყმული

პოპულიზმის სამ ფუნდამენტურ მახასიათებელთან - ანტი-ისტებლიშმენტურ განწყობებთან, ავტორიტარიზმთან და ნეიტივიზმთან (Mudde, 2016, pp.295-307).

ბოლო ორ წელიწადში საქართველოში რეგიონალურ ჭრილში ჩატარებული კვლევები აშკარად მიანიშნებს საზოგადოებაში არსებულ მოთხოვნას პოპულისტური, განსაკუთრებით ულტრა-მემარჯვენე ყაიდის პოლიტიკური აქტორების მიმართ (EI-LAT & CRRC, 2019). ის გარემოება, რომ არსებობს მოთხოვნა, ავტომატურად არ განაპირობებს პოპულისტური ძალების ელექტორალურ წარმატებას. ამისთვის საჭიროა კიდევ ორი განზომილების - „მიწოდებისა“ და „ინსტიტუციური თამაშის წესების“ - თანხვედრა (Inglehart & Norris, 2016). პირველი გულისხმობს პოლიტიკურ ველზე ისეთი აქტორების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ პოპულისტურ დისკურსში აქტიურობის შესაძლებლობა, სურვილი და იდეოლოგიური წინაპირობები, მეორე კი კრებსითი აღმნიშვნელია იმ პოლიტიკური გარემოსი, რომელიც „პოლიტიკური კონკურენციის ბაზრის ინსტიტუციურ რეგულირებას“ გულისხმობს და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საარჩევნო კანონმდებლობა, მათ შორის მინიმალური საარჩევნო ბარიერი და არჩევნებზე დაშვების წესები, და პოლიტიკური ფინანსების რეგულირების სისტემა (Inglehart & Norris, 2016, p.10). ამ ნაშრომში ეს ორი უკანასკნელი განზომილება ნაკლებად იქნება განხილული და ყურადღებას მოთხოვნის განზომილებაზე გავამახვილებთ. კერძოდ, საქართველოს ორ რეგიონსა და დედაქალაქ თბილისში (რომელსაც ქვემოთ ასევე „რეგიონად“ მოვისხენიებთ) ჩატარებული რეპრეზენტაციული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ვიმსჯელებთ საქართველო ამ სამ რეგიონში მოსახლეობის განწყობაზე პოპულიზმის მიმართ, ასევე იმ მსგავსებებსა და განსხვავებებზე, რაც არსებობს საქართველოს სამ რეგიონში არსებულ პოპულიზმსა და ევროპულ პოპულიზმს შორის. ამ სამი რეგიონის შერჩევა მოხდა ორი მიზეზით: კვლევა მიზნად ისახავდა რეგიონულ ჭრილში ანტილიბერალური განწყობების კუთხით არსებული განწყობების შესწავლას; შეირჩა გეოგრაფიულად დაშორებული რეგიონები - სამეგრელო და დედაქალაქი თბილისი, სადაც განსხვავებულია ურბანიზაციის მაჩვენებელი და, ასევე, აჭარა, რეგიონი, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მუსლიმი მოსახლეობა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი გარემოება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რადგან რელიგიურ ჭრილში არსებულ განსხვავებასაც გვაჩვენებს.

მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია 2019 წელს კვლევითი ცენტრის „ლიბერალური აკადემია თბილისის“ (EI-LAT) და „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ (ISSA-Georgia) მიერ ჩატარებული რეპრეზენტაციული გამოკითხვა საქართველოს ორ რეგიონში, სამეგრელოსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, და დედაქალაქ თბილისში (ამ უკანასკნელს ქვემოთ ასევე „რეგიონად“ მოვიხსენიებთ) ლიბერალური აკადემია თბილისი (EI-LAT) & სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA-Georgia), 2020). შერჩევის მოდელად გამოყენებული იყო 2014 წლის საყოველთაო აღწერა. თითოეულ რეგიონში გამოიკითხა 600 რესპონდენტი, ჯამში სულ 1800 რესპონდენტი. მონაცემები სტატისტიკურად რეპრეზენტატულია. საქართველოს სამ რეგიონში გამოიყო სამი სტრატა - თბილისი, აჭარა და სამეგრელო. შერჩევის პირველ ეტაპზე თითოეულ სტრატაში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის პროპორციულად, შემთხვევითი წესით, შეირჩა პირველადი შერჩევის წერტილები - საარჩევნო უბნები. „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ ინტერვიუერები ეწვივნენ შერჩეულ შინამეურნეობებს და მათი თანხმობით ჩაატარეს ინტერვიუები. დაცულ იქნა ოჯახებს შორის ინტერვალი დასახლების ტიპის (ურბანული/რურალური) და მოსახლეობის სიმჭიდროვის შესაბამისად. ოჯახის შერჩეული წევრის უარის შემთხვევაში მისი ჩანაცვლება ოჯახის სხვა წევრით არ ხდებოდა.

საველე სამუშაოები 11 დღის განმავლობაში გაგრძელდა (2019 წლის 24 ნოემბერი – 5 დეკემბერი). თითოეულ ინტერვიუს, საშუალოდ, 25-27 წუთი დასჭირდა და ქართულ ენაზე ჩატარდა. საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდა ხარისხის კონტროლი. შემოწმდა კითხვარების მთლიანი რაოდენობის 10%. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ODK collect-ის საშუალებით (აღნიშნული აპლიკაცია დაინსტალირდა ყველა ინტერვიუერის ტაბლეტში). ელექტრონულად შევსებული კითხვარები გადაიგზავნა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ სერვერზე, SSL პროტოკოლის გამოყენებით. თავდაპირველად განხორციელდა საველე სამუშაოების შედეგად შევსებული კითხვარების კოდირება და ფორმალიზაცია. ფაილის „გაწმენდის” შემდეგ მონაცემები დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის ფარგლებში (20.0 ვერსია). დამუშავებისა და ანალიზისას გამოყენებული იქნა უნივარიაციული და ბივარიაციული ანალიზის მეთოდები. ინფორმაციის დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე მომზადდა კვლევის საბოლოო ანალიტიკური ანგარიში.

ულტრამემარჯვენე პოპულიზმის ეთნო-რელიგიური თავისებურებები აჭარაში, თბილისსა და სამეგრელოში

EI-LAT-ისა და ISSA-Georgia-ს 2019 გამოკიხვა აჩვენებს, ულტრამემარჯვენე პოპულიზმი ძლიერ ბმაშია, ერთი მხრივ ნაციონალიზმთან, მეორე მხრივ კი რელიგიურობასთან. ამასთან, ეს ორი უკანასკნელი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. შესაბამისად, შეგვიძლია ამ ფენომენს ერთნო-რელიგიური ნაციონალიზმი ვუწოდოთ, რომელიც, თავისი გამოვლინებით ძალიან წააგავს ლოიზიდესის მიერ აღწერილ ბალკანურ რელიგიურ ნაციონალიზმს (Loizides, 2009). ლოიზიდესი რელიგიურობისა და ნაციონალიზმის შერწყმას ბალკანეთის ეთნო-რელიგიურ ჯგუფებში „ნაციონალიზმის ადაპტირებას" უწოდებს და ამტკიცებს, რომ მისი „კალეიდოსკოპური" ბუნებიდან გამომდინარე, ნაციონალიზმს შეუძლია ადაპტირება არა მარტო სხვადასხვა იდეოლოგიებთან, არამედ რელიგისთანაც, მიუხედავად ამ ორ ფენომენს შორის არსებული ფუნდამენტური შეუსაბამობისობისა.

მუსლიმი ქართველების მიმღებლობა

წინამდებარე კვლევაში ეს კარგად გამოვლინდა გამოკითხული პოპულაციის დამოკიდებულებაში ქართველი მუსლიმების მიმართ. მაგალითად, სამეგრელოში აღმოჩნდა ქართველი მუსლიმების[4] მიუღებლობის მაღალი ხარისხი. კერძოდ, სამეგრელოში მოსაზრებას, რომ „ქართველი მუსლიმებისთვის მეჩეთების აშენება და მუსლიმური რელიგიური რიტუალების შესრულება ხელს უშლის ქართველებს შორის თანხმობას და გაერთიანებას", გამოკითხულთა 38.2% ეთანხმება. თბილისსა და აჭარაში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უფრო დაბალია (შესაბამისად, 22.7% და 12.8%).

ამავე დროს იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ფიქრობენ, რომ „ქართველ მუსლიმებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ჰქონდეთ მეჩეთები და მიიღონ მონაწილეობა რელიგიურ რიტუალებში". სამეგრელოში მხოლოდ 26.8%-ია. თბილისსა და აჭარაში ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, არის 61.7% და 70.3%).

მოსაზრებას, რომ „ქართველი მუსლიმების უმრავლესობა კარგი ადამიანია" სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება სამეგრელოში გამოკითხულების მხოლოდ 38.4%, თბილისში - 67.4%,

[4] იგულისხმება ეთნიკურად ქართველი ადამიანები, რომლებიც მუსლიმ აღმსარებლობას მისდევენ. მაგალითად, აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

აჭარაში კი 88.6%. ამ მოსაზრებას სრულად ან ნაწილობრივ არ ეთანხმება თბილისში გამოკითხულთა 14.3%, სამეგრელოში 24.2% და აჭარაში 6.6%. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში გამოკითხულთა მესამედზე მეტმა, 37.1%–მა, თქვა, რომ არ იცის. იგივე პასუხი დააფიქსირა თბილისში 17.9%–მა და აჭარაში 4.5%–მა.

კიდევ უფრო თვალსაჩინოა მონაცემები, როცა საუბარი ქართველ მუსლიმთან ოჯახის შექმნას ეხება (ცხრილი 1). კითხვა ასე იყო ფორმულირებული: „დავუშვათ, გყავთ შვილი, რომელსაც სურს, ოჯახი შექმნას ქართველ მუსლიმთან ერთად. შეეცდებით თუ არა, შეაცვლევინოთ ეს გადაწყვეტილება?“ ამ საკითხზე თბილისელთა მოსაზრება გაიყო: ერთი ნაწილი (45.4%) შვილის ამ გადაწყვეტილებას არ ეწინააღმდეგება, ხოლო მეორე, პრაქტიკულად იდენტური ნაწილი (44.7%) - აპროტესტებს. სამეგრელოს მოსახლეობა ამ მხრივ კატეგორიულია – 74% წინააღმდეგია, რომ მისმა შვილმა ქართველ მუსლიმთან ერთად ოჯახი შექმნას, მაშინ, როცა ამას არ შეეწინააღმდეგებოდა მხოლოდ 19.5%. აჭარაში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, არის 20.1% წინააღმდეგი, 73% - მომხრე (EI-LAT & ISSA-Georgia, 2020).

ეკლესიის ექსკლუზური ნდობა

ინსტიტუციების ნდობის ჭრილში გამოკითხვამ აჩვენა საქართველოს ეკლესიისადმი მაღალი ნდობა სამივე რეგიონში. სამეგრელოში ეს მაჩვენებელი 86%-ს შეადგენს, თბილისში - 73.4%-ს, აჭარაში კი 66.2%-ს. ამ ჭრილში შესწავლილ ინსტიტუციებს შორის[5] ეკლესია ნდობის თვალსაზრისით თბილისსა და სამეგრელოში პირველ ადგილზეა, აჭარაში კი მეორეზე და მხოლო მცირედით ჩამორჩება ქართულ ჯარს. სამეგრელოში, სადაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53%) ამბობს, რომ ძირითადად ენდობა ეკლესიას, 33% კი სრულ ნდობას უცხადებს. აჭარაში 32.9% ამბობს, რომ ძირითადად ენდობა, 33.3% კი - სრულად ენდობა. რაც შეეხება თბილისს, ეს მაჩვენებელი აჭარაზე მაღალია, თუმცა სამეგრელოზე დაბალი - ძირითადად ენდობა ეკლესიას 42.8% და სრულად ენდობა - 30.5%.

[5] მოსახლეობის ნდობა შესწავლილ იქნა შემდეგი ინსტიტუციების მიმართ: საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტი, სასამართლოები, ჯარი, ეკლესია, ჟურნალისტები, ევროკავშირი, ულტრამემარჯვენე ორგანიზაციები (მაგ. „ქართული მარში“), საზოგადოებრივი ორგანიზაციები (მაგ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია).

საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა მონაცემთა დამატებითი სტატისტიკური ანალიზის პროცესში. კერძოდ, აღმოჩნდა, რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ენდობა ეკლესიას, მაგრამ არ ენდობა არცერთ პოლიტიკურ ინსტიტუტს (პრეზიდენტს, პრემიერ–მინისტრს, პარლამენტს). ასეთია თბილისში გამოკითხულთა 45.5%, აჭარაში 21.3% და სამეგრელოში 38.3%. თუ მხოლოდ მართლმადიდებლებს ავიღებთ, რომლებიც გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ, მაშინ ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შთამბეჭდავია – თბილისში გამოკითხული მართლმადიდებლების ნახევარზე მეტი - 50.6%, აჭარაში გამოკითხული მართლმადიდებლების 29.6% და სამეგრელოში გამოკითხული მართლმადიდებლების 38,3% ენდობა ეკლესიას, მაგრამ არ ენდობა არცერთ პოლიტიკურ ინსტიტუტს (EI-LAT & ISSA-Georgia, 2020).

ეკლესიის ჩარევა სახელმწიფო პოლიტიკაში

სამ რეგიონში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ სეკულარიზმს მოსახლეობის უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს. ამავე დროს, საყურადღებოა, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვან ნაწილში მძლავრი ანტისეკულარული განწყობები დომინირებს. კერძოდ, მოსაზრებას, რომ „პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პოლიტიკოსები უნდა ითვალისწინებდნენ ეკლესიის პოზიციას“, იზიარებს სამეგრელოში 39.7%, თბილისში 39.4% და აჭარაში 22.1%. მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ სეკულარიზმის დონეზე სამივე რეგიონში გავლენას ახდენს სასულიერო მოძღვრის ყოლა/არყოლის ფაქტორი. როგორც მოსალოდნელი იყო, ის რესპონდენტები, რომლებსას მოძღვარიჰყავთ, სამივე რეგიონში მხარს უჭერენ ეკლესიის მეტად ჩარევას სახელმწიფო საქმეებში. თვალსაჩინოა სამეგრელოს მაგალითი, სადაც სახელმწიფო საქმეებში ეკლესიის ჩარევას მიესალმება მოძღვრიან რესპონდენტთა 49.6% და მოძღვრის არმყოლთა 37.6%.

კარგი მართლმადიდებლები

სამივე რეგიონში გამოკითხულ მოსახლეობას ახასიათებს მაღალი თვითშეფასება როგორც ეროვნულ, ისე რელიგიურ ჭრილში. რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვები სხვადასხვა ეთნოსის, რელიგიური ჯგუფის და ეროვნების შესაფასებლად. კერძოდ, კითხვა ასე იყო ფორმულირებული: „რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: „[ეთნოსის, რელიგიური ჯგუფის და ეროვნების] უმრავლესობა კარგი ადამიანია“. კითხვა დაისხვა აფხაზების, რუსების, თურქების, ჩინელების, მუსლიმი ქართველების და მართლმადიდებელი ქართველების კონტექსტში. აფხაზების

უმრავლესობას კარგ ადამიანად სრულად ან ძირითადად მიიჩნევს სამივე რეგიონში გამოკითხულთა 63.5%, რუსების უმრავლესობას - 62.2%, თურქების უმრავლესობას - 41.9%, ჩინელების უმრავლესობას - მხოლოდ 34.9%, მუსლიმი ქართველების უმრავლესობას - 64.8%, ხოლო მართლმადიდებელი ქართველების უმრავლესობას კარგ ადამიანებად მოიაზრებს 92.2%.

ამას გარდა, სამ რეგიონში რესპონდენტებს დაესვათ კითხვა, რამდენად კარგი მართლმადიდებლები არიან ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენლები? შეფასებები გაკეთდა „დიახ - არა" პოლუსებზე, შეკითხვა ეხებოდა უკრაინელებს, რუსებს, ბერძნებსა და ქართველებს. უკრაინელებს კარგ მართლმადიდებლად ყველაზე მეტად სამეგრელოში (67.2%) მიიჩნევენ, ყოველი მეორე თბილისელიც (51.1%) ასე ფიქრობს; შედარებით თავშეკავებულია აჭარის მოსახლეობა (42.8%). დაახლოებით მსგავსი შეფასება მიიღეს ბერძნებმა. ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი დადებითი შეფასების კატეგორიაში გამოვლინდა თბილისსა (55.1%) და სამეგრელოში (52.1%). აჭარელი რესპონდენტები აქ უფრო თავშეკავებულნი იყვნენ (46.2%). რუსებს კარგ მართლმადიდებლებად ყველაზე მეტად სამეგრელოში აღიქვამენ (66.1%). თბილისში ეს მაჩვენებელი 49%-ია, აჭარაში - 47.8%. თუმცა ყველაზე კარგ მართლმადიდებლებად გამოკითხულებს ქართველები მიაჩნიათ. თბილისში ეს მაჩვენებელი 72.6%-ს უტოლდება, აჭარაში 76.5%-ია, სამეგრელოში კი 90.9%.

როგორც ეს მონაცემები აჩვენებს, სამ შესწავლილ რეგიონში უაღრესად მაღალია როგორც ეროვნული, ასევე რელიგიური თვითშეფასება. ამასთან საყურადღებოა, რომ თვითშეფასების მაჩვენებლებს მძლავრი რელიგიური კომპონენტი გააჩნია. კერძოდ, ცალსახაა, რომ გამოკითხული პოპულაცია პოზიტიურ განწყობას აჩვენებს იმ ერების (რუსები) და ეთნოსების (აფხაზები) მიმართ, რომლებიც მათ რელიგიურ მრწამსს იზიარებენ, მიუხედავად ორივე ამ ჯგუფთან არსებული კონფლიქტური დამოკიდებულებისა. ამავე დროს, მნიშვნელოვნად დაკნინებულია სხვა რელიგიის მატარებელი ერების აღქმა (თურქები, ჩინელები). კიდევ უფრო საყურადღებოა განწყობა ქართველი მუსლიმების მიმართ. სხვაობა ქართველი მუსლიმებისა და მართლმადიდებელი ქართველების მონაცემებს შორის 27.4%-ია.

პოპულიზმის გაერთიანებული ინდექსი

პოპულიზმზე საზოგადოებრივი დაკვეთის განზომილების ჭრილში, საქართველოს სამ რეგიონში (აჭარა, თბილისი, სამეგრელო) ჩატარებული რეპრეზენტაციული გამოკითხვის საფუძველზე ჩვენს მიერ შემუშავდა პოპულიზმის გაერთიანებული ინდექსი,[6] რომელიც ამ ფენომენის მასშტაბისა და პარამეტრების გაგების საშუალებას იძლევა, და სხვა ცვლადებთან კორელაციის დადგენაშიც გვეხმარება. ინდექსის გამოსათვლელად გამოიყო სამი ჯგუფი: პოპულისტი, მერყევი/გარდამავალი და ანტი-პოპულისტი (ცხრილი 2). თითოეულ ჯგუფს მიენიჭა ქულა „პოპულისტი“ - 1, „მერყევი/გარდამავალი“ - 2, „ანტი-პოპულისტი“ – 3. ინდექსის გამოთვლა მოხდა ქულების საშუალოს დათვლის შედეგად. დიაპაზონი საშუალოებს შორის მერყეობდა 1.16-2.88 ფარგლებში. ინდივიდების განაწილება ჯგუფებში მოხდა შემდეგნაირად:

1. პოპულისტი - საშუალო ქულა მოქცეულია 1-1.68-ს შორის;

2. მერყევი/გარდამავალი - საშუალო ქულა მოქცეულია 1.69-2.33-ს შორის;

3. ანტი-პოპულისტი - საშუალო ქულა მოქცეულია 2.34-3-ს შორის.

ცვლადები მოიცავს სამ ბლოკს, რომლებიც ულტრა-მემარჯვენე პოპულიზმის კრიტერიუმებს ასახავს: ნეიტივიზმი, ანტი-ისტებლიშმენტური განწყობები/ ავტორიტარიზმი და ტრადიციული ღირებულებები/ქსენოფობია/ისლამოფობია (Inglehart & Norris, 2016, pp.4-13).

როგორც მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, პოპულისტების ხვედრითი წილი ჯამურად, სამივე რეგიონში შეადგენს 25.8%-ს, ანტი-პოპულისტების 15.1%-ს, ხოლო მერყევი/გარდამავალი კატეგორია ყველაზე მრავალრიცხოვანია - 59.1%. პოპულისტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამეგრელოშია - 35.1%, თბილისში მათი ხვედრითი წილია 23.0%, ხოლო აჭარაში - 19.2%. ამასთან, მერყევი/გარდამავალი ადამიანების ხვედრითი წილი, 63.3%, ყველაზე მაღალი თბილისშია (იხ. ცხრილი 3).

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ პოპულიზმისადმი მიდრეკილება ასაკთან ერთად იზრდება, ანუ რაც უფრო მაღალია ასაკი, მით უფრო მაღალია პოპულისტური განწყობები. ყველაზე დაბალია

[6] EI-LAT-ის 2020 წლის კვლევაში მოცემული პოპულიზმის ინდექსი მხოლოდ მის ერთ, ნეიტივისტურ ელემენტს ემყარება და უფრო ვიწრო აპლიკაცია გააჩნია.

ეს მაჩვენებელი 18-24 წწ. ასაკობრივ ჯგუფში (17.8%) და შემდეგ თანდათანობით იზრდება, ხოლო ყველაზე მაღალია 65+ წ. ასაკობრივ ჯგუფში, სადაც 31.9%-ს აღწევს (იხ. ცხრილი 4).

კორელქციურმა ანალიზმა აჩვენა, ასევე, რომ ურბანულ ჭრილში, პოპულისტური განწყობები ერთი მხრივ თბილისში და მეორე მხრივ აჭარისა და სამეგრელოს სოფლის მოსახლეობაში დაახლოებით თანაბარია (შესაბამისად, 23.0% და 23.1%). ამავე დროს ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია აჭარისა და სამეგრელოს ქალაქის მოსახლეობაში, სადაც 31.3%-ს აღწევს (იხ. ცხრილი 5).

პოპულიზმსა და რელიგიურობას შორის კორელაციურმა ანალიზმა კავშირი არ დააფიქსირა. სამაგიეროდ, აღმოჩნდა მტკიცე ბმა პოპულიზმსა და ეკონომიკური მოწყვლადობის ხარისხს შორის. კორელაციური ანალიზისთვის ეკონომიური სტატუსის მიხედვით გამოკითხული პოპულაცია ოთხ კატეგორიად დაიყო: 1. ეკონომიკურად მოწყვლადი; 2. ეკონომიკურად უფრო მოწყვლადი, ვიდრე არამოწყვლადი; 3. ეკონომიკურად უფრო არამოწყვლადი, ვიდრე მოწყვლადი; 4. ეკონომიკურად არამოწყვლადი. ყველაზე მაღალია პოპულიზმის მაჩვენებელი ეკონომიკურად უფრო მოწყვლად (მე-2) კატეგორიაში, ყველაზე დაბალი კი არამოწყვლად ჯგუფში (იხ. ცხრილი 6).

განათლების ცენზთან კორელაციურმა ანალიზმა ასევე აღმოაჩინა სტატისტიკურად სანდო კავშირი. კერძოდ, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებში უფრო დაბალია პოპულიზმის ხარისხი, ხოლო ანტი-პოპულიზმისა კი უფრო მაღალი, ვიდრე სასკოლო და პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტებში (ცხრილი 7).

დასკვნა

საქართველოს ორ რეგიონსა და დედაქალაქ თბილისში ჩატარებულმა რეპრეზენტაციულმა გამოკითხვამ და მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ პოპულისტური განწყობები გამოკითხულ პოპულაციაში ძლიერია. პოპულისტური განწყობის ადამიანების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად აღემატება ანტი-პოპულისტების წილს, თუმცა გაცილებით ჩამორჩება მათ რაოდენობას, რომელთაც პოპულიზმი-ანტიპოპულიზმის ჭრილში მერყევი ან გარდამავალი პოიზიცია უკავიათ.

ამასთან, უკვე შეინიშნება იმის სიმპტომები, რომ, როგორც დასავლურ დემოკრატიებში, საქართველოშიც ანტილიბერალური, პოპულისტური ძალები შესამჩნევ გავლენას ახდენენ პოლიტიკურ პროცესებზე. საქართველოში პოპულიზმის იდეები და ამ იდეების მატარებელი ძალები ძირითადად ულტრაკონსერვატიურ, მემარჯვენე ფლანგზეა კონცენტრირებული და ეთნო-რელიგიურ ნაციონალიზმთან პოზიციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ პოპულისტური ძალები ჯერჯერობით რჩებიან მარგინალურ პოზიციებზე, პოპულისტური დისკურსი მეინსტრიმული პარტიების პოლიტიკური გადაწყვეტილების არსენალში არსებობს.

მომავალში პოპულიზმის დინამიკის პროეცირებაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესის ზეგავლენა. ერთი მხრივ, ის ფაქტორები, რომლებიც ამ მოვლენის გაძლიერებას უწყობს ხელს, მათ შორის გლობალიზაციური პროცესები, და ეკონომიკური სირთულეები აღმავლობას განიცდის და პოპულიზმის გაძლიერებას უწყობს ხელს. თუმცა, მეორე მხრივ, კორელაციურმა ანალიზმა ჩვენა, რომ ახალგაზრდა თაობა გაცილებით უფრო რეზისტენტულია პოპულიზმის მიმართ, ვიდრე შუა ასაკისა და ხანდაზმული ადამიანები, რაც საპირისპირო, პოპულიზმის შემცირების ტენდენციაზე მიუთითებს. საბოლოო ჯამში, იმის გასარკვევად, ფაქტორების რომელი წყება უფრო დიდ ზეგავლენას მოახდენს პოპულიზმის დინამიკაზე, დამატებითი კვლევებია საჭირო.

ბიბლიოგრაფია

Democracy and Freedom Watch. (2018). *Georgian far-right group plans to form new political party*. ხელმისაწვდომია http://dfwatch.net/georgian-far-right-group-plans-form-new-political-party-49936

Galston, W. A. (2018). The Populist Challenge to Liberal Democracy. *Journal of Democracy, Yale University Press*.

Goodhart, D. (2017). The Road to Somewhere: The Populist Revolt and the Future of Politics. *The Guardian*.

Inglehart, R., & Norris, P. (2016). Radical Right: Voters and Parties in the Electoral Market. *John F. Kennedy School of Government of Harvard University Faculty Research Working Paper Series*.

Loizides, N. G. (2009). Religious Nationalism and Adaptation in Southeast Europe. *Nationalities Papers: The Journal of Nationalism and Ethnicity, 37:2*, 203-227.

Mudde, C. (2016). Populist Radical Right Parties in Europe Today. *Cambridge University Press*, 295–307.

Mudde, C., & Kaltwasser, C. R. (2018). Studying Populism in Comparative Perspective: Reflections on the contemporary and Future Research Agenda. *Comparative Political Studies 51(13)*, 1667-1693.

ლებანიძე, ბ. (2019). პოპულისტური ნაციონალიზმი საქართველოში: როგორია მისი გავლენა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესზე? *პოლიტიკის დოკუმენტი #18*. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

ლიბერალური აკადემია თბილისი (EI-LAT), კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) (2019). *ანტილიბერალური პოპულიზმი და რუსული გავლენის საფრთხე საქართველოს რეგიონებში.* თბილისი. ხელმისაწვდომია http://www.ei-lat.ge/images/doc/antiliberal-populisme-kartuli.pdf

ლიბერალური აკადემია თბილისი (EI-LAT), სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA-Georgia) (2020). *ანტილიბერალური განწყობა: თბილისი, აჭარა, სამეგრელო.* თბილისი.

პირველი არხი (2020). *ბიძინა ივანიშვილი - ფუნდამენტურად წარმოუდგენელია ქართველი ხალხის, კულტურის, ტრადიციების, მსოფლმხედველობისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის თანაარსებობა.* ხელმისაწვდომია https://1tv.ge/news/bidzina-ivanishvili-fundamenturad-warmoudgenelia-qartveli-khalkhis-kulturis-tradiciebis-msoflmkhedvelobisa-da-nacionaluri-modzraobis-mmartvelobis-tanaarseboba

რადიო თავისუფლება (2020). *„ქართულმა მარშმა“ დააფუძნა პოლიტიკური პარტია.* ხელმისაწვდომია https://www.radiotavisupleba.ge/a/30702965.html

სამხარაძე, ნ. (2020). თანამედროვე ქართული პოპულიზმის დეკონსტრუქცია: ნარატივები პოლიტიკური პარტიებიდან საზოგადოებრივ მოძრაობებამდე. *პოლიტიკის დოკუმენტი #33*. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2017). საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე. ბოლო წვდომა 13.10.2020, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3656689?publication=0

სტეფანი, ა. (2018). ულტრამემარჯვენე პოპულისტური მოძრაობები: ახალი გამოწვევა საქართველოსთვის. *პოლიტიკის დოკუმენტი #5*. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

ტვ იმედი (2017). *საქართველოში მიწის უცხოელებზე გაყიდვა კონსტიტუციით აიკრძალება. ეს კარგია თუ ცუდი?* ხელმისაწვდომია https://imedinews.ge/ge/theme/94/saqartveloshi-mitsis-utskhoelebze-gakidva-konstitutsiit-aikrdzaleba-es-kargia-tu-tsudi

დანართი

ცხრილი 1

დავუშვათ, გყავთ შვილი, რომელსაც სურს, ოჯახი შექმნას მუსლიმ ქართველთან ერთად. შეეცდებით თუ არა, შეაცვლევინოთ ეს გადაწყვეტილება?

	თბილისი	**აჭარა**	**სამეგრელო**	**სულ**
არ შეეცდები შეაცვლევინო ეს გადაწყვეტილება	45.4	73.0	19.5	46.0
შეეცდები შეაცვლევინო ეს გადაწყვეტილება	44.7	20.1	74.0	46.2
უარი პასუხზე		.8	.3	.4
არ ვიცი	9.9	6.1	6.1	7.4

ცხრილი 2.

ა. ნეიტივიზმი

#	**კითხვის ფორმულირება**	**ანტი-პოპულისტი (3 ქულა)**	**მერყევი / გარდამავალი (2 ქულა)**	**პოპულისტი (1 ქულა)**
D32	თქვენი აზრით, თურქებს, ვისაც საქართველოში ცხოვრება უნდათ, უნდა ჰქონდეთ თუ არა საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება შესაბამისი მოთხოვნების	უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება	არ ვიცი უარი პასუხზე	არ უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება

	დაკმაყოფილების შემთხვევაში?			
D34	თქვენი აზრით, ევროპელებს, ვისაც საქართველოში ცხოვრება უნდათ, უნდა ჰქონდეთ თუ არა საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში?	უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება	არ ვიცი უარი პასუხზე	არ უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება
D34	თქვენი აზრით, ევროპელებს, ვისაც საქართველოში ცხოვრება უნდათ, უნდა ჰქონდეთ თუ არა საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში?	უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება	უარი პასუხზე არ ვიცი	არ უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება
D35	თქვენი აზრით, თურქებს, ვისაც საქართველოში	უნდა ჰქონდეთ ამის უფლება	არ ვიცი უარი პასუხზე	არ უნდა ჰქონდეთ ამის უფლება

	ცხოვრება უნდათ, უნდა ჰქონდეთ თუ არა უფლება, უძრავი ქონება შეიძინონ აქ?			
D37	ევროპელებს, უნდა ჰქონდეთ თუ არა უფლება, უძრავი ქონება შეიძინონ აქ?	უნდა ჰქონდეთ ამის უფლება	უარი პასუხზე არ ვიცი	არ უნდა ჰქონდეთ ამის უფლება
B. ანტი-ისტებლიშმენტური განწყობები/ავტორიტარიზმი				
D2	რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს პრეზიდენტს?	ძირითადად ვენდობი სრულად ვენდობი	უარი პასუხზე არ ვიცი	საერთოდ არ ვენდობი ძირითადად არ ვენდობი
D3	რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს პრემიერ-მინისტრს?	ძირითადად ვენდობი სრულად ვენდობი	უარი პასუხზე არ ვიცი	საერთოდ არ ვენდობი ძირითადად არ ვენდობი
D4	რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს პარლამენტს?	ძირითადად ვენდობი სრულად ვენდობი	უარი პასუხზე არ ვიცი	საერთოდ არ ვენდობი ძირითადად არ ვენდობი

D8	რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს სასამართლოებს?	ძირითადად ვენდობი სრულად ვენდობი	უარი პასუხზე არ ვიცი	საერთოდ არ ვენდობი ძირითადად არ ვენდობი
D9	რამდენად ენდობით ან არ ენდობით ქართველ ჟურნალისტებს?	ძირითადად ვენდობი სრულად ვენდობი	უარი პასუხზე არ ვიცი	საერთოდ არ ვენდობი ძირითადად არ ვენდობი
D12	რამდენად ენდობით ან არ ენდობით ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა, მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია?	ძირითადად ვენდობი სრულად ვენდობი	უარი პასუხზე არ ვიცი	საერთოდ არ ვენდობი ძირითადად არ ვენდობი
D14	მოსაზრება 1. ქვეყნისთვის უკეთესი იქნება, თუ არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა ყველა გადაწყვეტილებას საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად მიიღებს.	სრულად ვეთანხმები/ ვეთანხმები 1-ელ მოსაზრებას	უარი პასუხზე არ ვიცი	სრულად ვეთანხმები/ ვეთანხმები მე-2 მოსაზრებას

	მოსაზრება 2. ქვეყნისთვის უკეთესი იქნება, თუ ქვეყანას ეყოლება ძლიერი ლიდერი, რომელიც თავად მიიღებს საზოგადოებისთვის საჭირო გადაწყვეტილებებს.			
D15	რომელია ყველაზე ახლოს თქვენს შეხედულებებთან?	1. დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია	უარი პასუხზე არ ვიცი	2. ზოგ შემთხვევაში არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია, ვიდრე დემოკრატიული 3. ჩემნაირი ადამიანისთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორი მთავრობა გვეყოლება
გ. ტრადიციული ღირებულებები/ქსენოფობია/ისლამოფობია				
C6	თქვენი აზრით, რა არის ყველაზე აუცილებელი იმისთვის, რომ ადამიანი ქართველად ჩავთვალოთ?	თვითონ თვლიდეს თავს ქართველად	ერთი მშობელი მაინც ჰყავდეს ქართველი იცოდეს ქართული ენა	იყოს მართლმადიდებელი ჰქონდეს ქართული გვარი

			ცხოვრობდეს საქართველოში	
C9	როდესაც ოჯახში გოგო და ბიჭი იზრდება, და ოჯახს მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ბინა აქვს, როგორ ფიქრობთ, ვის საკუთრებაში უნდა გადავიდეს ეს ბინა - გოგოსი თუ ბიჭის?	თანაბრად უნდა გაიყოს	გოგოს საკუთრებაში სხვა არ ვიცი უარი პასუხზე	ბიჭის საკუთრებაში
C12	თქვენი აზრით, ემუქრება თუ არა ამჟამად საფრთხე ქართულ ტრადიციებს?	არ ემუქრება	არ ვიცი უარი პასუხზე	ემუქრება
C13	ემუქრება თუ არა ამჟამად საფრთხე მართლმადიდებლობას საქართველოში?	არ ემუქრება	არ ვიცი უარი პასუხზე	ემუქრება
C14	თქვენი აზრით, ემუქრება თუ არა ამჟამად საფრთხე „ოჯახის სიწმინდეს“ საქართველოში?	არ ემუქრება	არ ვიცი უარი პასუხზე	ემუქრება
B4	თურქების უმრავლესობა კარგი ადამიანია	სრულიად/ ძირითადად	არ ვიცი	საერთოდ/ ძირითადად არ

		ვეთანხმები	უარი პასუხზე	ვეთანხმები
B5	ქართველი მუსლიმების უმრავლესობა კარგი ადამიანია	სრულიად/ ძირითადად ვეთანხმები	არ ვიცი უარი პასუხზე	საერთოდ/ ძირითადად არ ვეთანხმები
B6	ჩინელების უმრავლესობა კარგი ადამიანია	სრულიად/ ძირითადად ვეთანხმები	არ ვიცი უარი პასუხზე	საერთოდ/ ძირითადად არ ვეთანხმები
D19	ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? 1. მუსლიმ ქართველებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ იქონიონ მეჩეთები და მონაწილეობდნენ რელიგიურ რიტუალებში 2. მუსლიმი ქართველებისთვის მეჩეთების აშენება და მუსლიმური რელიგიური რიტუალების შესრულება ხელს უშლის ქართველებს შორის თანხმობას და გაერთიანებას	სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	არცერთს არ ვეთანხმები არ ვიცი უარი პასუხზე	ვეთანხმები მეორე მოსაზრებას სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას

D23	რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ ამერიკა საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს?	საერთოდ არ ვეთანხმები უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	არ ვიცი უარი პასუხზე	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები სულად ვეთანხმები
D25	რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს?	საერთოდ არ ვეთანხმები უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	არ ვიცი უარი პასუხზე	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები სულად ვეთანხმები
D26	რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ თურქეთი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს?	საერთოდ არ ვეთანხმები უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	არ ვიცი უარი პასუხზე	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები სულად ვეთანხმები
D29	როგორ შეაფასებდით თქვენს დამოკიდებულებას საქართველოში ჩამოსული თურქების მიმართ, ვინც აქ 3 თვეზე მეტი დროით რჩება?	დადებითს	ნეიტრალურს	უარყოფითს

როგორც...

ცხრილი 3.

პოპულისტების, ანტი-პოპულისტებისა და მერყევი/გარდამავალი კატეგორიები რეგიონების მიხედვით და ჯამურად

	თბილისი	**აჭარა**	**სამეგრელო**	**სულ**
მერყევი/გარდამავალი	63.3%	60.8%	53.3%	59.1%
ანტი-პოპულისტი	13.7%	20.0%	11.7%	15.1%
პოპულისტი	23.0%	19.2%	35.1%	25.8%

ცხრილი 4.

პოპულისტების, ანტი-პოპულისტებისა და მერყევი/გარდამავალი კატეგორიები ასაკის მიხედვით

	18-24	**25-34**	**35-44**	**45-54**	**55-64**	**65+**
მერყევი/გარდამავალი	62.2%	64.5%	58.1%	57.2%	56.3%	56.6%
ანტი-პოპულისტი	20.0%	15.5%	15.5%	16.3%	12.6%	11.5%
პოპულისტი	17.8%	20.1%	26.4%	26.6%	31.0%	31.9%

ცხრილი 5.

განაწილება ურბანული ჰაბიტატის მიხედვით

	ქალაქი	**სოფელი**	**დედაქალაქი**
მერყევი/გარდამავალი	56.4%	57.6%	63.3%
ანტი-პოპულისტი	12.3%	19.3%	13.7%
პოპულისტი	31.3%	23.1%	23.0%

ცხრილი 6.

კატეგორიები ეკონომიკური მოწყვლადობის ხარისხის მიხედვით

	ეკონომიკურად არამოწყვლადი	ეკონომიკურად უფრო არამოწყვლადი	ეკონომიკურად უფრო მოწყვლადი	ეკონომიკურად მოწყვლადი
მერყევი / გარდამავალი	61.2%	59.8%	53.0%	56.2%
ანტი-პოპულისტი	18.8%	13.4%	10.2%	7.7%
პოპულისტი	20.0%	26.8%	36.7%	36.1%

ცხრილი 7.

კატეგორიები განათლების ცენზის მიხედვით

	განათლების დონე	
	სასკოლო და პროფესიული	**უმაღლესი**
მერყევი/გარდამავალი	54.9%	64.9%
ანტი-პოპულისტი	16.3%	13.4%
პოპულისტი	28.8%	21.6%